

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

14. 12. 2016 წელი

ეგზ. N2

ხულოს მუნიციპალიტეტი

ფინანსური აუდიტის ანგარიში N 75/36

2015 წლის 1 იანვარი - 2015 წლის 31 დეკემბერი

ს ა რ ჟ ე ვ ი

ზოგადი ინფორმაცია	3
დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	4
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	4
პირობითი მოსაზრების საფუძველები	5
ფინანსური აქტივები და მოთხოვნები.....	5
არაფინანსური აქტივები.....	5
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა.....	6
ძირითადი კაპიტალის მოხმარება.....	6
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები.....	7
სხვა ხარჯები.....	7
ა(ა)იპ „ხულოს კულტურის ცენტრი“.....	8
ა(ა)იპ „ხულოს სახელოვნებო სკოლა“.....	8
ა(ა)იპ „ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“.....	9
ა(ა)იპ „ხულოს წყალკანალი“.....	9
ა(ა)იპ „ხულოს სოციალური სერვისების ცენტრი“.....	9
ა(ა)იპ „კურორტი ბეშუმ“.....	10
მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა	10
ადამიანური რესურსების მართვა.....	10
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები.....	10
მოთხოვნები და ვალდებულებები.....	11
სახელმწიფო შესყიდვები.....	11
უძრავი ქონების შესყიდვა.....	12
ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია.....	13
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	13
ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები	14

ზოგადი ინფორმაცია

ხულოს მუნიციპალიტეტი არის თვითმმართველი თემი, რომელსაც „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად მინიჭებული აქვს მუნიციპალიტეტის სტატუსი. მუნიციპალიტეტს გააჩნია არჩევითი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, რეგისტრირებული მოსახლეობა და აქვს საკუთარი ქონება, ბიუჯეტი, შემოსულობები. ხულოს მუნიციპალიტეტი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირია.

ხულოს მუნიციპალიტეტს აქვს საკუთარი უფლებამოსილებები და დელეგირებული უფლებამოსილებები. მუნიციპალიტეტი საკუთარ უფლებამოსილებას ახორციელებს დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით. დელეგირებული უფლებამოსილება არის სახელმწიფო/ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს უფლებამოსილება, რომელიც მუნიციპალიტეტს გადაეცა კანონის საფუძველზე, ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, სათანადო მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით.

ხულოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო ხულოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს და ხულოს მუნიციპალიტეტის უმაღლეს თანამდებობის პირს წარმოადგენს ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელი. ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგებელი აირჩევა ოთხი წლის ვადით, ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების მიერ, პირდაპირი არჩევნებით, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელი ანგარიშვალდებულია ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მოსახლეობის წინაშე.

ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელი შეიმუშავებს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და ბიუჯეტში შესატანი ცვლილების პროექტებს და უზრუნველყოფს დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულებას თავისი უფლებამოსილების ფარგლებში.

დასახელება	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	დაზუსტებული გეგმის შესრულება (%)
შემოსავლები	9,545,109	9,744,809	9,813,671	100.7
ხარჯები	6,254,420	6,442,120	6,298,770	97.8
შრომის ანაზღაურება	1,752,313	1,752,313	1,748,262	99.8
საქონელი და მომსახურება	987,754	988,754	926,224	93.7
სუბსიდიები	2,085,969	2,085,969	2,071,086	99.3
გრანტები	542,770	542,770	542,663	100.0
სოციალური უზრუნველყოფა	306,492	566,192	556,802	98.3
სხვა ხარჯები	579,122	506,122	453,733	89.6
არაფინანსური აქტივების ზრდა	5,177,171	5,189,171	4,943,807	95.3
არაფინანსური აქტივების კლება	0	0	3,479	
ფინანსური აქტივების ზრდა	0	0	2,695	
ფინანსური აქტივების კლება	1,889,242	1,889,242	1,430,882	75.7
ვალდებულებების ზრდა	0	0	0	
ვალდებულებების კლება	2,760	2,760	2,760	100.0

ცხრილი 1. ინფორმაცია ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა ხულოს მუნიციპალიტეტის ფინანსური აუდიტი, რომელიც მოიცავს ხულოს მუნიციპალიტეტის ბალანსს 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. აუდიტი მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ. აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც

მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველები

ფინანსური აქტივები და მოთხოვნები

გარემოება N1

ხულოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბალანსის თანახმად, სხვა საგადასახადო აქტივის ნაშთი მუნიციპალიტეტს არ აქვს. წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დგინდება, რომ სხვა საგადასახადო აქტივის ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 763 ლარს. ამასთან, ბალანსის თანახმად, სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნების ნაშთში, 2015 წლის 1 იანვრის და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასახულია საშემოსავლო გადასახადის ზედმეტობა 253 ლარის ოდენობით, რომლის წარმოშობის ნამდვილობა მოწოდებული დოკუმენტაციით ვერ დასტურდება.

გარემოება N2

ხულოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბალანსის თანახმად, მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით მუნიციპალიტეტს არ აქვს. მოპოვებული მტკიცებულებებით, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არაფინანსური აქტივების დანაკლისი შეადგენს 5,849 ლარს, რაც დადგენილი წესით არ არის აღრიცხული მოთხოვნებში არაფინანსური აქტივების დანაკლისებით. აგრეთვე, დანაკლისის ღირებულებით ცვლილება არ არის განხორციელებული სხვა მატერიალური მარაგების მონაცემებში.

გავლენა

ხულოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენილი ბალანსის მონაცემი, ფინანსური აქტივებისა და მოთხოვნების ნაშთის შესახებ, 6,612 ლარით არის შემცირებული.

არაფინანსური აქტივები

გარემოება

ხულოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბალანსის თანახმად, მანქანა-დანადგარების და ინვენტარის ნაშთი 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 496,916 ლარს, ხოლო 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 403,962 ლარს. მათ შორის, სატრანსპორტო საშუალებების ნაშთი 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 322,332 ლარს, ხოლო 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 163,201 ლარს. სატრანსპორტო საშუალებების

საწყისი (ისტორიული) ღირებულებების საფუძველზე დგინდება, რომ სატრანსპორტო საშუალებების ნაშთი 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 318,922 ლარს, ხოლო 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 145,891 ლარს.

გავლენა

ხულოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენილი ბალანსის მონაცემი, მანქანა-დანადგარების და ინვენტარის ნაშთის შესახებ, 17,310 ლარით არის გაზრდილი.

გარემოება

ხულოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბალანსის თანახმად, არაწარმოებული აქტივების ნაშთი 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 91,047 ლარს, ხოლო 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 96,197 ლარს. 2015 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ, საკუთრებაში მიღებული აქვს 4,752 ლარის ნორმატიული ღირებულების 1,528 კვ.მ ორი ერთეული არასასაფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. განხორციელებული ოპერაცია არ არის აღრიცხული მუნიციპალიტეტის ბალანსში.

გავლენა

ხულოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენილი ბალანსის მონაცემი, არაწარმოებული აქტივების ნაშთის შესახებ, 4,752 ლარით არის შემცირებული.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

გარემოება

ხულოს მუნიციპალიტეტის მიერ 2015 წლის განმავლობაში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 906,366 ლარი, საიდანაც 16,116 ლარი გაწეული იქნა „საქონელი და მომსახურების“ (ოფისის ხარჯები) მუხლით, ხოლო 890,250 ლარი მიმართული იქნა არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით. აუდიტის შედეგად დგინდება, რომ ოფისის ხარჯების სახით გაწეული 16,116 ლარით, სხვადასხვა სოფლებისთვის შესყიდული იქნა სარიტუალო ინვენტარი, რაც შეუსაბამოა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოთხოვნებთან¹.

გავლენა

ხულოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბალანსის დანართ ფორმა N2-ის ინფორმაცია ოფისის ხარჯების შესახებ² 16,116 ლარით არის გაზრდილი, ხოლო სხვა ხარჯების ინფორმაცია, შესაბამისად, 16,116 ლარით არის შემცირებული.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება

გარემოება

ხულოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბალანსის თანახმად, ძირითადი კაპიტალის მოხმარების ფაქტობრივი ხარჯი, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს 533,422 ლარს. აუდიტორული პროცედურების შედეგად დგინდება, რომ სატრანსპორტო

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის თავი IV (ხარჯების მეთოდური განმარტებები)

² საქონელი და მომსახურება

საშუალებებზე დარიცხული ცვეთა, ნაცვლად საბალანსო 31,680 ლარისა, შეადგენს 35,120 ლარს. ამასთან, შენობა-ნაგებობებსა და სხვა ძირითად აქტივებზე დარიცხული ცვეთის სიზუსტეზე, სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენლობის გამო, რწმუნება ვერ იქნა მოპოვებული.

გავლენა

ხულოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენილი ბალანსის მონაცემი ძირითადი კაპიტალის მოხმარების შესახებ 3,440 ლარით არის შემცირებული.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები

სხვა ხარჯები

გარემოება

ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2015 წლის ბალანსის თანახმად, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების სხვა ხარჯების საკასო შესრულება შეადგენს 55,890 ლარს. სხვა ხარჯების მუხლით მიღებული დაფინანსებით აღნიშნული ორგანიზაციების მიერ განხორციელებულია ძირითადი აქტივების შესყიდვა³, რაც ასახულია შესაბამისი ორგანიზაციების ანგარიშებში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ. ამასთან, ა(ა)იპ „ხულოს საფეხბურთო კლუბი „ხიხანის“, ა(ა)იპ „ხულოს წყალკანალის“, ა(ა)იპ „ხულოს სოციალური სერვისების ცენტრის“, ა(ა)იპ „ხულო-თაგოს ბაგირგზის“ და ა(ა)იპ „კურორტი ბეშუმის“ მიერ სხვა ხარჯების მუხლით მიღებული დაფინანსებით განხორციელებული ოპერაციები, ნაცვლად არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ ანგარიშში ასახვისა, ასახულია შესაბამისი ორგანიზაციების ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით. მათ შორის, ა(ა)იპ „ხულო-თაგოს ბაგირგზას“ აღნიშნული დაფინანსება ასახული აქვს ძირითადი კაპიტალის მოხმარების საკასო ხარჯში⁴.

გავლენა

ა(ა)იპ „ხულოს საფეხბურთო კლუბი „ხიხანის“, ა(ა)იპ „ხულოს წყალკანალის“, ა(ა)იპ „ხულოს სოციალური სერვისების ცენტრის“, ა(ა)იპ „ხულო-თაგოს ბაგირგზისა“ და ა(ა)იპ „კურორტი ბეშუმის“ ბალანსების ანგარიშებში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, სხვა ხარჯების საკასო შესრულების შესახებ ინფორმაცია, რეალურ საბუღალტრო მონაცემებთან შედარებით 11,464 ლარით არის გაზრდილი⁵.

³ დარღვეულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი პუნქტი

⁴ დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 23-ე მუხლის მე-16 პუნქტი.

⁵ ა(ა)იპ „ხულოს საფეხბურთო კლუბი „ხიხანი“ - 2,998 ლარი; ა(ა)იპ „ხულოს წყალკანალი“ - 4,497 ლარი; ა(ა)იპ „ხულოს სოციალური სერვისების ცენტრი“ - 1,930 ლარი; ა(ა)იპ „ხულო-თაგოს ბაგირგზა“ - 503 ლარი, ა(ა)იპ „კურორტი ბეშუმი“ - 1,537 ლარი.

ა(ა)იპ „ხულოს კულტურის ცენტრი“

გარემოება

ა(ა)იპ „ხულოს კულტურის ცენტრის“ 2015 წლის ბალანსის თანახმად, სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 56,835 ლარს. მოპოვებული მტკიცებულებებით, ვალდებულების არსებობა არ დასტურდება.

გავლენა

ა(ა)იპ „ხულოს კულტურის ცენტრის“ 2015 წლის ბალანსის მონაცემი კრედიტორული დავალიანებების შესახებ ფაქტობრივ მდგომარეობასთან შედარებით 56,835 ლარით არის გაზრდილი.

გარემოება

ა(ა)იპ „ხულოს კულტურის ცენტრის“, 2015 წელს, მოქმედი რეგულაციების გაუთვალისწინებლად⁶, ძირითად აქტივებზე არ დაურიცხია ცვეთა. შესაბამისად, ორგანიზაციის 2015 წლის ბალანსში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ძირითადი კაპიტალის მოხმარების ფაქტობრივი ხარჯის შესახებ.

გავლენა

ა(ა)იპ „ხულოს კულტურის ცენტრის“ 2015 წლის ბალანსის მონაცემები არაფინანსური აქტივების ნაშთის შესახებ არსებითად შეუსაბამოა ორგანიზაციის რეალურ ფინანსურ მდგომარეობასთან.

ა(ა)იპ „ხულოს სახელოვნებო სკოლა“

გარემოება

ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2015 წლის ბალანსის თანახმად, ა(ა)იპ „ხულოს სახელოვნებო სკოლის“ 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან, სხვა ხარჯების მუხლით მიღებული დაფინანსება შეადგენს 4,982 ლარს. აუდიტის შედეგად დგინდება, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან, სხვა ხარჯების მუხლით გაწეული დაფინანსება აღრიცხულია როგორც ორგანიზაციის ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, აგრეთვე ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ. ამასთან, ორგანიზაციის ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, საქონელი და მომსახურების მუხლით გაწეულ საკასო შესრულებაში ასახულია ასევე სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრებით გაწეული 622 ლარის საკასო ხარჯი.

გავლენა

ა(ა)იპ „ხულოს სახელოვნებო სკოლის“ 2015 წლის ბალანსის დანართ ფორმა N2-ისა და დანართ ფორმა N2.1-ის მონაცემი, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების შესახებ 5,604 ლარით არის გაზრდილი.

⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი

გარემოება

ა(ა)იპ „ხულოს სახელოვნებო სკოლის“ 2015 წლის ბალანსის ანგარიშის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, საქონელი და მომსახურების მუხლის ფაქტობრივი ხარჯი შეადგენს 6,300 ლარს, ხოლო სხვა ხარჯების მუხლის ფაქტობრივი ხარჯი - 1,883 ლარს. აუდიტის შედეგად დგინდება, რომ ორგანიზაციას სხვა ხარჯების მუხლით ფაქტობრივი ხარჯი არ ჰქონია, ხოლო საქონელი და მომსახურების მუხლით, ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 5,678 ლარი.

გავლენა

ა(ა)იპ „ხულოს სახელოვნებო სკოლის“ 2015 წლის ბალანსის მონაცემი, ხარჯების ფაქტობრივი ხარჯის შესახებ 2,505 ლარით არის გაზრდილი.

ა(ა)იპ „ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“

გარემოება

ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2015 წლის ბალანსის თანახმად, ა(ა)იპ „ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“, 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან, სხვა ხარჯების მუხლით მიღებული დაფინანსება შეადგენს 39,444 ლარს. აუდიტის შედეგად დგინდება, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან სხვა ხარჯების მუხლით გაწეული დაფინანსება აღრიცხულია როგორც ორგანიზაციის ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, აგრეთვე ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ.

გავლენა

ა(ა)იპ „ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ 2015 წლის ბალანსის დანართ ფორმა N2-ისა და დანართ ფორმა N2.1-ის მონაცემი, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების შესახებ 39,444 ლარით არის გაზრდილი.

ა(ა)იპ „ხულოს წყალკანალი“

გარემოება

ა(ა)იპ „ხულოს წყალკანალის“ 2015 წლის ბალანსის ანგარიშის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, სხვა ხარჯების მუხლის ფაქტობრივი ხარჯი შეადგენს 4,385 ლარს. საბუღალტრო დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ ორგანიზაციას სხვა ხარჯების მუხლით ფაქტობრივი ხარჯი არ ჰქონია.

გავლენა

ა(ა)იპ „ხულოს წყალკანალის“ 2015 წლის ბალანსის მონაცემი, ხარჯების ფაქტობრივი ხარჯის შესახებ 4,385 ლარით არის გაზრდილი.

ა(ა)იპ „ხულოს სოციალური სერვისების ცენტრი“

გარემოება

ა(ა)იპ „ხულოს სოციალური სერვისების ცენტრის“ 2015 წლის ბალანსის ანგარიშის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, სხვა ხარჯების მუხლის ფაქტობრივი ხარჯი შეადგენს 4,800 ლარს. მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე დგინდება, რომ ორგანიზაციის სხვა ხარჯების მუხლის ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 2,870 ლარი.

გავლენა

ა(ა)იპ „ხულოს სოციალური სერვისების ცენტრის“ 2015 წლის ბალანსის მონაცემი ხარჯების ფაქტობრივი ხარჯის შესახებ 1,930 ლარით არის გაზრდილი.

ა(ა)იპ „კურორტი ბეშუმის“

გარემოება

ა(ა)იპ „კურორტი ბეშუმის“ 2015 წლის ბალანსის ანგარიშის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, სხვა ხარჯების მუხლის ფაქტობრივი ხარჯი შეადგენს 3,725 ლარს. მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე დგინდება, რომ ორგანიზაციას სხვა ხარჯების მუხლით ფაქტობრივი ხარჯი არ ჰქონია.

გავლენა

ა(ა)იპ „კურორტი ბეშუმის“ 2015 წლის ბალანსის მონაცემი ხარჯების ფაქტობრივი ხარჯის შესახებ 3,725 ლარით არის გაზრდილი.

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

ადამიანური რესურსების მართვა

ხულოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2015 წლის შრომის ანაზღაურების საკასო და ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 1,748,262 ლარი, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების საკასო და ფაქტობრივმა ხარჯმა - 88,967 ლარი. 2015 წლის შრომის ანაზღაურების ხარჯებიდან, თანამდებობრივი სარგოს სახით გაცემულია 1,210,093 ლარი, პრემიის სახით - 526,294 ლარი, ხოლო დანამატის სახით - 11,875 ლარი. აუდიტის შედეგად, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც საჯარო მოხელე თანამდებობაზე⁷ დანიშნულია კონკურსის გარეშე⁸.

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები

ხულოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბალანსის თანახმად, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის საკასო ხარჯი შეადგენს 144,615 ლარს, ხოლო ფაქტობრივი ხარჯი - 128,242 ლარს.

სატრანსპორტო საშუალებებისთვის საწვავის შესყიდვაზე, 2015 წლის განმავლობაში გაწეულმა მთლიანმა საკასო ხარჯმა შეადგინა 57,934 ლარი. მათ შორის, 3,508 ლარის ღირებულების 2,200 ლიტრი საწვავი გახარჯულია ოთხ ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც არ ირიცხება ხულოს მუნიციპალიტეტის ბალანსზე და იმყოფებოდა მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეების მფლობელობაში. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის თანახმად, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თანამშრომლისთვის სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას პირად მფლობელობაში არსებული

⁷ საკრებულოს აპარატის უფროსი; საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე (მრჩეველი); წამყვანი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში

⁸ დარღვეულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტი

ავტომობილისათვის განკუთვნილი საწვავის უსასყიდლოდ გადაცემით მიღებული სარგებელი. ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ არ ხორციელდება საწვავის სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისათვის გადაცემის დადასტურება.

საწვავის ხარჯების აუდიტით შედეგად ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც სატრანსპორტო საშუალებებში, ერთი ოპერაციის ფარგლებში, ჩასხმულია შესაბამისი ავტოსატრანსპორტო საშუალების საწვავის ავზის მოცულობაზე ბევრად მეტი საწვავი⁹.

2015 წლის განმავლობაში, ხულოს მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული 11 ერთეული სატრანსპორტო საშუალებების სათადარიგო ნაწილებსა და შეკეთებაზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 44,550 ლარი. ხარჯის მნიშვნელოვანი ნაწილი¹⁰ მოდის ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესა და მუნიციპალიტეტის გამგებელზე განპიროვნებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე. საკრებულოს თავმჯდომარეზე განპიროვნებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე¹¹ გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 13,120 ლარი, ხოლო გამგებელზე განპიროვნებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე¹² გაწეულმა ხარჯმა - 9,035 ლარი. ამასთან, 5,407 ლარის ღირებულების სათადარიგო ნაწილების მიწოდებაზე სასაქონლო ზედნადები ვერ იქნა წარმოდგენილი¹³.

მოთხოვნები და ვალდებულებები

ხულოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბალანსის თანახმად, სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნების ნაშთი 2015 წლის 1 იანვრის და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 6,063 ლარს, ხოლო სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების ნაშთი - 2,117 ლარს. აუდიტის ობიექტს, 2015 წლის განმავლობაში, მოთხოვნის აღიარების/ ფულადი სახსრების ადგილობრივ ბიუჯეტში მიმართვის უზრუნველსაყოფად არანაირი ღონისძიება არ განუხორციელებია. ასევე, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე არ დასტურდება ვალდებულების მოცულობის რეალურობა.

სახელმწიფო შესყიდვები

სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვა

ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ, 2015 წლის განმავლობაში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გაფორმებულია 97 ერთეული ხელშეკრულება¹⁴. ხელშეკრულებათა ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 816,712 ლარი, ხოლო განხორციელებულმა გადახდამ - 792,447 ლარი. მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ანგარიშსწორება განხორციელებულია იმ პირობებში, როდესაც მიმწოდებლების მიერ არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ, რითაც დარღვეულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის

⁹ მაგ. 117 ლიტრი, 150 ლიტრი, 160 ლიტრი, 204 ლიტრი, 250 ლიტრი და ა. შ.

¹⁰ მთლიანი ხარჯის 50.5%

¹¹ ლექსუსი LX470, გამოშვების თარიღი 2005 წელი, ნარჩენი საბალანსო ღირებულება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 27,404 ლარი

¹² ტოიოტა ფორტუნერი, გამოშვების თარიღი 2010 წ., ნარჩენი საბალანსო ღირებულება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 27,632 ლარი

¹³ დარღვეულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 136-ე მუხლის მე-4 პუნქტი

¹⁴ მათ შორის, 91 ხელშეკრულება გაფორმებულია სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში

N55 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ მე-3 პუნქტი.

გარე განათების მოვლა-ექსპლუატაცია

ხულოს მუნიციპალიტეტმა, დაბა ხულოსა და სასოფლო ცენტრების გარე განათების მოვლა-ექსპლუატაციის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი¹⁵. გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების¹⁶ ფასების ცხრილის თანახმად, მიმწოდებელი უზრუნველყოფდა 2,806 ერთეული გარე განათების წერტის მოვლა-ექსპლუატაციას 29.25 ლარად, დღგ-ს გარეშე და 200 ერთეული ბოძის შეღებვას, თითოეულის 6.0975 ლარად დღგ-ს გარეშე. ხელშეკრულების სრულმა ღირებულებამ დღგ-ს ჩათვლით შეადგინა 98,288.1 ლარი. წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტებით, ყოველთვიურად დაახლოებით ერთი და იგივე რაოდენობის გარე განათების წერტების მოვლა-ექსპლუატაციის მომსახურება ხორციელდებოდა, თუმცა წარმოდგენილი დეფექტური აქტებით აღნიშნული სამუშაოები განხორციელებულია მხოლოდ გარე განათების წერტების ნაწილზე. ამასთან, რიგ შემთხვევებში, თანდართული კალკულაციები ფორმალურ ხასიათს ატარებს და არ არის თანხვედრაში მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მონაცემებთან. მათ შორის, ფიქსირდება განათების წერტების განზომილების ერთეულად ათწილადების მითითება, დღგ-ს გარეშე და დღგ-ს ჩათვლით ფასების არევა და ა. შ. ზემოაღნიშნულის გამო, წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იძლევა ფაქტობრივად გაწეული მომსახურების იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

მიწოდების ვადების ცვლილებები

ხულოს მუნიციპალიტეტის მიერ, სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებებით განხორციელების დროს, სისტემური ხასიათი აქვს სამუშაოების დასრულების/ მიწოდების ვადის ცვლილებებს. ხელშეკრულებებში ვადის შეცვლის საფუძვლად ძირითადად მითითებულია საპროექტო დოკუმენტაციების უზუსტობა¹⁷, თუმცა მუნიციპალიტეტს, საპროექტო დოკუმენტაციაში არსებულ შეუსაბამებებთან დაკავშირებით, არცერთ შემთხვევაში, საპროექტო დოკუმენტაციათა მიმწოდებლების მიმართ, სახელშეკრულებო ვალდებულებათა არაჯეროვნად შესრულების გამო სათანადო ღონისძიებები არ განუხორციელებია.

უძრავი ქონების შესყიდვა

ხულოს მუნიციპალიტეტის მიერ, 2015 წელს, გობაძეების, ირემაძეების და ბოღაურის სოფლების კრების ოქმების საფუძველზე, განხორციელებულია 500 კვ. მ სასოფლო-

¹⁵ SPA140030271

¹⁶ ხელშეკრულება N12, 22/01/2015 წ.

¹⁷ SPA150010402; SPA150011428; SPA150013709; SPA150013753; SPA150013889; SPA150014367; SPA150015951; SPA150021178

სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის¹⁸ შესყიდვა¹⁹. ნასყიდობის ღირებულებამ შეადგინა 5,150 ლარი. უძრავი ნივთის შესყიდვა განხორციელებულია აუდიტორული შეფასების გარეშე. არსებული დოკუმენტაცია არ იძლევა გადახდილი ფასის შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობას.

ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია

ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის, აგრეთვე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ 2015 წელს არ ჩატარებულა ფინანსური მოთხოვნების/ ვალდებულებების ინვენტარიზაცია, რითაც დარღვეული იქნა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტი და მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი.

ა(ა)იპ „ხულოს კულტურის ცენტრის“ დირექტორის 2015 წლის 3 ივნისის N5 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა ორგანიზაციის ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა სახის ინვენტარის, მუსიკალური ინსტრუმენტების, ტექნიკური საშუალებების და სხვა ფასეულობების დანაკლისი, საბალანსო ღირებულებით 47,554 ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ ა(ა)იპ „ხულოს კულტურის ცენტრის“ ადმინისტრაციის მიერ დანაკლისის თაობაზე ეცნობა ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობას. დანაკლისის აღმოფხვრის მიზნით სათანადო ღონისძიებები გატარებული არ არის.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

ჰენრი სანიკიძე

/უფროსი აუდიტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი/

გურამ დუმბაძე

/უფროსი აუდიტორი/

უჩა პაპუკაშვილი

/აუდიტორ-ასისტენტი/

14 დეკემბერი 2016 წელი

¹⁸ მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 23.03.32.027

¹⁹ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება 10/09/2015 წ.

ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები

ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული საღარიბოში ეროვნულ ვალუტაში	1110		
020	ნაღდი ფული საღარიბოში უცხოურ ვალუტაში	1120		
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210		
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220		
050	სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1230		
060	სხვა ანგარიშები ბანკში	1240		
070	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250		
080	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		
090	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		
100	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280		
110	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290		
120	ფასიანი ქაღალდები გარდა აქციებისა	1310		
130	მოკლევადიანი სესხები	1320		
140	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		
150	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
160	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
170	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
180	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		
190	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354		
200	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	1355		
210	გადახდილი დღგ	1356		
220	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		
230	სხვა საგადასახადო აქტივი	1358		
240	მოთხოვნები ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების დანაკლისებით	1359		
250	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		
260	მოთხოვნები ბარტერიით	1410		
270	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		
280	მოთხოვნები წინასწარი გადახდებით	1430		
290	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440		
300	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450		
310	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460		
320	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470		
330	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480	6,063	6,063
340	გრძელვადიანი სესხები	1510		
350	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1520		
360	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1530		

არაფინანსური აქტივები				
370	სტრატეგიული მარაგები	1610		
380	სხვა მატერიალური მარაგები	1620	869,017	1,109,328
390	შენობა-ნაგებობები	2110	9,028,881	13,273,698

400	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	496,916	403,962
410	სხვა მირითადი აქტივები	2130	0	0
420	დაუმთავრებელი მშენებლობა	2140	360,634	177,489
430	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200		31,133
440	ფასეულობები	2300		
450	არაწარმოებული აქტივები	2400	91,047	96,197
ბალანსი			10,852,558	15,097,870

ვალდებულებები და კაპიტალი				
460	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100		
470	მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210		
480	აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220		39,345
490	ვალდებულებები ბარტერით	3230		
500	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241		
510	გადასახდელი დღგ	3242		
520	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3243		
530	სხვა გადასახდელები	3244		
540	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით	3245		
550	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3246		
560	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251		
570	შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252		
580	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253		
590	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254		
600	დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3255		
610	დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3256		
620	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით	3257	28	28
630	გადასახდელი სტიპენდიები	3258		
640	სოციალური დაზღვევის ანარიცხები	3259		
650	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260		
660	სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3270		
670	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3280	2,117	2,117
680	გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3300		
კაპიტალი				
690	წმინდა ღირებულება	5100	10,850,413	15,056,380
700	საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი	5210		
710	გაუნაწილებელი მოგება	5220		
720	დაუფარავი ზარალი *	5230		
ბალანსი			10,852,558	15,097,870

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

სტ რ. კო დი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	დამტკიცებ ული გეგმა	დაზუსტებუ ლი გეგმა	ვალდებულ ება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრი ვი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
010	1. ხარჯები	2	4,059,856	4,169,559	4,016,839	4,000,832	4,000,832	4,583,247	582,415
020	1.1 შრომის ანაზღაურება	21	1,752,313	1,752,313	1,748,262	1,748,262	1,748,262	1,748,262	0
030	1.1.1 ხელფასები	211	1,752,313	1,752,313	1,748,262	1,748,262	1,748,262	1,748,262	0
040	1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	2111	1,752,313	1,752,313	1,748,262	1,748,262	1,748,262	1,748,262	0
050	1.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	21111	1,214,144	1,214,144	1,210,093	1,210,093	1,210,093	1,210,093	0
070	1.1.1.1.3 პრემია	21113	526,294	526,294	526,294	526,294	526,294	526,294	0
080	1.1.1.1.4 დანამატი	21114	11,875	11,875	11,875	11,875	11,875	11,875	0
150	1.2 საქონელი და მომსახურება	22	987,754	988,754	927,868	926,264	926,264	975,257	48,993
160	1.2.1.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	221	89,300	89,300	88,970	88,967	88,967	88,967	0
170	1.2.1.2 მივლინებები	222	15,245	15,245	14,087	13,266	13,266	13,266	0
180	1.2.1.3 ოფისის ხარჯები	223	276,053	276,053	268,471	267,692	267,692	197,215	-70,477
190	1.2.1.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	224	11,500	11,500	11,492	11,492	11,492	11,492	0
220	1.2.1.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	227	5,205	5,205	5,012	5,012	5,012	5,012	0
230	1.2.1.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი	228	151,802	151,802	144,615	144,615	144,615	128,242	-16,373
250	1.2.1.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2210	438,649	439,649	395,220	395,220	395,220	531,063	135,843
260	1.3 მირითადი კაპიტალის მოხმარება	23						533,422	533,422
270	1.4 პროცენტი	24	0	0	0	0	0	0	0

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
350	1.5 სუბსიდიები	25	21,536	21,536	21,536	21,536	21,536	21,536	0
360	1.6 გრანტები	26	350,125	350,125	350,139	350,125	350,125	350,125	0
370	1.6.1 გრანტები უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს	261	0	0	0	0	0	0	0
380	1.6.1.1 მიმდინარე	2611							0
390	1.6.1.2 კაპიტალური	2612							0
430	1.6.3 გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს	263	350,125	350,125	350,139	350,125	350,125	350,125	0
440	1.6.3.1 მიმდინარე	2631	350,125	350,125	350,139	350,125	350,125	350,125	0
450	1.6.3.2 კაპიტალური	2632							0
460	1.7 სოციალური უზრუნველყოფა	27	306,492	566,192	566,191	556,802	556,802	556,802	0
470	1.7.1 სოციალური დაზღვევა	271	0	0	0	0	0	0	0
480	1.7.1.1 ფულადი ფორმით	2711							0
490	1.7.1.2. სასაქონლო ფორმით	2712							0
500	1.7.2 სოციალური დახმარება	272	249,044	508,744	508,744	499,355	499,355	499,355	0
510	1.7.2.1 ფულადი ფორმით	2721	249,044	508,744	508,744	499,355	499,355	499,355	0
520	1.7.2.2. სასაქონლო ფორმით	2722							0
530	1.7.3 დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	273	57,448	57,448	57,447	57,447	57,447	57,447	0
540	1.7.3.1 ფულადი ფორმით	2731	57,448	57,448	57,447	57,447	57,447	57,447	0
550	1.7.3.2. სასაქონლო ფორმით	2732							0
560	1.8 სხვა ხარჯები	28	641,636	490,639	402,843	397,843	397,843	397,843	0
570	1.8.1 ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა	281	0	0	0	0	0	0	0
580	1.8.1.1 დივიდენდები	2811							0
590	1.8.1.2 კვაზი-კორპორაციების შემოსავლებიდან ამოღებული თანხები	2812							0
610	1.8.1.4 რენტა	2814							0
620	1.8.2 სხვადასხვა ხარჯები	282	641,636	490,639	402,843	397,843	397,843	397,843	0
630	1.8.2.1 მიმდინარე	2821	439,058	288,061	200,264	194,374	194,374	194,374	0
640	1.8.2.2 კაპიტალური	2822	202,578	202,578	202,578	203,468	203,468	203,468	0

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

სტრ. კოდი	არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	კოდი	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
010	1. არაფინანსური აქტივები	31	5,177,954	5,177,954	4,943,768	4,943,768	4,943,768
020	1.1 ძირითადი აქტივები	311	4,880,334	4,880,334	4,646,188	4,646,188	4,646,188
030	1.1.1 შენობა-ნაგებობები	3111	4,732,117	4,732,117	4,497,972	4,497,972	4,497,972
040	1.1.1.1 საცხოვრებელი შენობები	31111					
050	1.1.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	31112	1,413,276	1,413,276	1,179,131	1,179,131	1,179,131
060	1.1.1.3 სხვა ნაგებობები	31113	3,318,841	3,318,841	3,318,841	3,318,841	3,318,841
070	1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	3112	148,217	148,217	148,216	148,216	148,216
080	1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	31121	28,960	28,960	28,960	28,960	28,960
090	1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	31122	119,257	119,257	119,256	119,256	119,256
100	1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები	3113	0	0	0	0	0
120	1.1.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	31132					
170	1.2 მატერიალური მარაგები	312	292,470	292,470	292,429	292,429	292,429
180	1.2.1 სტრატეგიული მარაგები	3121					
190	1.2.2 სხვა მატერიალური მარაგები	3122	292,470	292,470	292,429	292,429	292,429
200	1.2.2.1 ნედლეული და მასალები	31221	292,470	292,470	292,429	292,429	292,429
310	1.4 არაწარმოებული აქტივები	314	5,150	5,150	5,150	5,150	5,150
320	1.4.1 მიწა	3141	5,150	5,150	5,150	5,150	5,150
330	1.4.2 წიაღისეული	3142					
340	1.4.3 სხვა ბუნებრივი აქტივები	3143	0	0	0	0	0
370	1.4.4 არაწარმოებული არამატერიალური აქტივები	3144					

ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ

სტრიქონის კოდი	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციების კოდები	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
10	1. ფინანსური აქტივები	32	0	0	0	0	0
20	1.1 საშინაო	321	0	0	0	0	0
100	1.2 საგარეო	322	0	0	0	0	0
180	1.3 მონეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლება	323					
190	2. ვალდებულებები	33	2,760	2,760	2,760	2,760	2,760
200	2.1 საშინაო	331	2,760	2,760	2,760	2,760	2,760
270	2.1.7 სხვა კრედიტორული დავალიანებები	3318	2,760	2,760	2,760	2,760	2,760
280	2.2 საგარეო	332	0	0	0	0	0
290	2.2.1 ვალუტა და დეპოზიტები	3322					
300	2.2.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3323					
310	2.2.3 სესხები	3324					
320	2.2.4 აქციები და სხვა კაპიტალი (მხ. სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები)	3325					
330	2.2.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3326					
340	2.2.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3327					
350	2.2.7 სხვა კრედიტორული დავალიანებები	3328					

ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

ანგარიშის N	დებიტი	თანა	ანგარიშის N	კრედიტი	თანა
	ნაშთი წლის დასაწყისისათვის			ნაშთი წლის დასაწყისისათვის	10,850,413
7100	მომუშავეთა ანაზღაურება	1,748,262	4100	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	8,947,360
7200	საქონელი და მომსახურება	975,257	4200	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება პენსიებისა და დახმარებების გასაცემად	
7300	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	533,422			
7310	მ. შ. ფიზიკური ცვეთა	533,422	6000	შემოსავლები	0
7400	პროცენტი		6300	მ. შ. გრანტები	
7500	სუბსიდიები	21,536			
7600	გრანტები	350,125			
7700	სოციალური უზრუნველყოფა	556,802			
7800	სხვა ხარჯები	397,843			
	აქტივების ვალდებულებების უსასყიდლოდ გასვლა	466,153		აქტივების ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღება	308,007
1300-1400	ფინანსური აქტივები		1300-1400	ფინანსური აქტივები	
3000	ფინანსური ვალდებულებები		3000	ფინანსური ვალდებულებები	
1600-2000	არაფინანსური აქტივები	466,153	1600-2000	არაფინანსური აქტივები	308,007
8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები		8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები	
3245	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლ. საკასო შესრულებით				
3246	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები *				
	სადებიტო ბრუნვა	5,049,399		საკრედიტო ბრუნვა	9,255,367
-	სულ ჯამი	5,049,399	-	სულ ჯამი	20,105,780
-	ნაშთი პერიოდის ბოლოს	0	-	ნაშთი პერიოდის ბოლოს	15,056,380

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

სტრ. კოდი	არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყ	მიღება			გასვლა					ნაშთი წლის პერიოდისბოლოს
			შესყიდვით	იმავე დონის სახ.ერთ. უსასყ	გრანტებით	გრანტებით	დანაკლისით	სხვა ეკ.ნაკადებით	ძირით. კაპიტ. მოხმარ.	საქონ. და მომსახ.	
010	1. მატერიალური მარაგები	869,017	443,773	0	3,020	55,737	0	0	0	150,746	1,109,328
020	1.1. სტრატეგიული მარაგები										0
030	1.2. სხვა მატერიალური მარაგები	869,017	443,773	0	3,020	55,737	0	0	0	150,746	1,109,328
090	1.2.6 სათანადო ნაწილები	18,464								6,362	12,102
100	1.2.7 სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები	850,553	443,773		3,020	55,737				144,384	1,097,226
110	2. ძირითადი აქტივები	9,605,948	4,943,768	0	308,007	466,152	0	0	533,422	3,000	13,855,149
120	2.1 შენობა-ნაგებობები	9,028,881	4,702,548	0	275,807	276,890	0	0	456,649	0	13,273,698
130	2.1.1 საცხოვრებელი შენობები	17,112							463		16,650
140	2.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	3,024,277	1,207,713		123,034	124,117			83,962		4,146,945
210	2.1.9 სხვა ნაგებობები	5,987,492	3,494,836		152,773	152,773			372,224		9,110,103
220	2.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	496,916	143,881	0	32,200	189,263	0	0	76,773	3,000	403,962
230	2.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	322,332	28,960		32,200	188,611			31,680		163,201
240	2.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	174,584	114,921			652			45,093	3,000	240,761
250	2.3 სხვა ძირითადი აქტივები	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
280	2.4 დაუმთავრებელი შენობებობა	80,151	97,338								177,489
290	3. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები		31,133								31,133
300	4. ფასიულობები	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
340	5. არაწარმოებული აქტივები	91,047	5,150	0	0	0	0	0	0	0	96,197
350	5.1 მიწა	91,047	5,150								96,197

ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე

ანალიზური აღრიცხვის მონაცემები														
დასახელება	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში (რაოდენობა)		საანგარიშო პერიოდში მიღება		საანგარიშო პერიოდში გასვლა		საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური)			
			შემენა	სხვა სახით მიღება	ექსპლუატაციიდან გასული	სხვა სახით გასული								
	მუშა მდგომარეობაში	არამუშა მდგომარეობაში	რაოდენობა	რაოდენობა	რაოდენობა	რაოდენობა	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათადარიგო ნაწილები	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათადარიგო ნაწილები
სატრანსპორტო საშუალება სულ:	12						102,483	5,351	57,934	39,199	102,484	5,351	57,934	39,199
მ.შ. მსუბუქი	11						93,006	4,175	52,498	36,333	93,006	4,175	52,498	36,333
ჯიპები და პიკაპები	8			1		1	9,478	1,176	5,436	2,866	9,478	1,176	5,436	2,866
სატვირთო	3					3								
მანქანა-დანადგარ, და ინვენტარი და საოფისე ტექნიკა სულ	168		13											
მოთხილური ტელეფონები	64	15	13											
ტელევიზორები	9	1	0											
კომპიუტერები	95	8	0											